

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N°04-40 (31.08.2015)  
დანართი N°2

შესულია ცვლილებები დირექტორის #04  
– 45 ბრძანების დანართი #6-ის შესაბამისად

ცვლილება 04-71 (22.05.2020)

ცვლილება 04-115 (15.07.2020)

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი



მცხეთა

2020

## ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

### 1. ბიბლიოთეკის სამუშაო დღეები და საათები

- ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე და შაბათს 10 საათიდან 15 საათამდე .

### 3. დასვენების დღეებია:

- 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
- 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
- 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
- 3 მარტი – დედის დღე;
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;
- 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);
- 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
- 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
- 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
- 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

### 2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება

- ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს.
- ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა რესურსის გასატანად აუცილებელია მკითხველი დარეგისტრირდეს ბიბლიოთეკის წევრად.

### 3. ბიბლიოთეკის უფლება - მოვალეობები:

- საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტური მართვა და გამოყენება
- საბიბლიოთეკო რესურსების დაცვა დაზიანებისა და განადგურებისგან
- მკითხველთა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება
- დახმარების გაწევა ლიტერატურის შერჩევასა და გამოყენებაში
- მკითხველისათვის თავისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა
- ბიბლიოთეკას უფლება აქვს ჩამოართვას წიგნი ან ნებისმიერი საბიბლიოთეკო ერთეული პირს, თუ აზიანებს მას.

### 4. მკითხველის უფლება - მოვალეობები

1. მკითხველი ვალდებულია ფაქიზად მოეპყროს ბიბლიოთეკის რესურსებს , დააბრუნოს საბიბლიოთეკო ერთეული დროულად და დადგენილი წესით.
2. მკითხველი ვალდებულია არ გაიტანოს წიგნი ბიბლიოთეკიდან ფორმულარში ჩაუწერლად, არ დააზიანოს , არ გააკეთოს ჩანაწერები და ჩანახატები.

#### **5. საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა**

1. საბიბლიოთეკო ერთეულის ბიბლიოთეკიდან გატანა შეუძლიათ მხოლოდ რეგისტრირებულ მომხმარებლებს.
2. ბიბლიოთეკიდან შესაძლებელია მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის გატანა.
3. ბიბლიოთეკიდან გატანილი საბიბლიოთეკო ერთეული უნდა დაბრუნდეს ბიბლიოთეკაში 10 სამუშაო დღის ვადაში ან მკითხველმა აცნობოს ბიბლიოთეკარს გადავადების შესახებ.
4. საბიბლიოთეკო ერთეულით სარგებლობის ვადის გადავადება შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად.
5. დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან იმ საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა,რომელიც შეზღუდული რაოდენობითაა ან სტუდენტების მიერ მოთხოვნილია .
6. შეზღუდული რაოდენობის საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა მკითხველს შეუძლია სამკითხველო დარბაზში (წაკითხვა, ქსერო და ელექტრონული ასლების დამზადება)
7. მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკარის მოთხოვნის შემთხვევაში, დროზე ადრე დააბრუნოს საბიბლიოთეკო ერთეული.
8. საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკას შეუძინოს იგივე ან მსგავსი (ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით) საბიბლიოთეკო ერთეული.

#### **6. საბიბლიოთეკო რესურსის ადეკვატურობის გამოკითხვა**

1. პროგრამის დასრულების შემდგომ ჩატარდეს როგორც სტუდენტთა ისე მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსის ადეკვატურობის განსაზღვრის მიზნით;
2. განისაზღვროს გამოკითხვის ორი ფორმა:
  - ელექტრონული ფორმა;
  - გასაუბრება;
3. ახალი საგანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირებისათვის პროგრამის დასრულების შემდეგ მოხდეს სასწავლო რესურსის მოთხოვნის ჩანაწერების ანალიზი.